## გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

## ოქმი №17

**ქ. გარდაბანი** **8 ნოემბერი 2022 წელი 11 სთ. 30 წთ.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი:

| | |
|---|---|
| სამირ ხიალოვი | ლია მეტრეველი |
| ზაზა ონიანი | მაია შამედოვა |
| ვუგარ მამედოვი | კამრან ბაბაევი |
| ლევან ნიჟარაძე | ეველინა ჩოხელი |
| სახმან მირზოევი | გუსეინკულუ მუსაევი |
| რასიმ ისაევი | ლევანი ბეგლარიშვილი |
| ბეთქილ კახიანი | აბდულალი იბრაგიმოვი |
| გიორგი გურულიშვილი | მადონა გაბროშვილი |
| ტარიელ ჯანხოთელი | მეითხან მეითხანოვი |
| დავითი ებილაშვილი | ზურაბი კორახაშვილი |
| რუსტამ ისაევი | ლალი კახურაშვილი |
| ზურაბი ზენდელიანი | დავით ჭინჭარაული |
| თამარი ხაჩიძე | ისლამ მამედოვი |
| ანარ მურადოვი | ანი მანჩხაშვილი |
| ფლორა ასკაროვა | |

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
პირველადი სტრუქტურული ერთეულის -
აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე -
ნაია დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მეორადი სტრუქტურული ერთეულის -
საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი -
დავით მერაბიშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მეორადი სტრუქტურული ერთეულის -
სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი -
ნინო დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -
შალვა გურულიშვილი.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: **შალვა გურულიშვილი**
თანამომხსენებელი: **ლევან ნიჟარაძე**

**საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:**

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: **შალვა გურულიშვილი**
თანამომხსენებელი: **ლევან ნიჟარაძე**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 30
წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

**საკითხი**

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შალვა გურულიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** და განმარტა, რომ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს ასახავს.

ჭარბი შემოსავლების მიღების შედეგად გაიზარდა სხვა შემოსავლების მუხლი,

კერძოდ: სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 40,000 (ორმოცი ათასი) ლარით და მოსაკრებელი ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის - 40,000 (ორმოცი ათასი) ლარით, რაც გადანაწილდა შემდეგნაირად:

- საახალწლო განათებებისა და ნაძვის ხის შეძენა - 70, 000(სამოცდაათი ათასი)ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდი 10,000(ათი ათასი)ლარი;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით გამოყოფილი თანხა სატენდერო ეკონომიის შედეგად შემცირდა - 105,793 (ასხუთი ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტი) ლარით და სოფელ მარტყოფში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 35,459 (ოცდათხუთმეტი ათას ოთხას ორმოცდაცხრამეტი) ლარით.

კენჭი ეყარა დადგენილებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 24
წინააღმდეგი – 6

მიღებულია დადგენილება №36 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე** **მიხეილ გედეხაური**




